

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) 107-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პირველ მუხლს დაემატოს 1¹ პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 29-ე მუხლს დაემატა 1¹ პუნქტი, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოქალაქეობის ცენზს და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1¹. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.“. ამ დებულების შინაარსს იმეორებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ნორმებიც. შესაბამისად, კანონპროექტის არსია კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების ასახვა რეგლამენტის შესაბამის ნორმებში.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

რეგლამენტის პროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველები“ - კონსტანტინე ჩოკორაია, კახაბერ ურიადმოფელი, სალომე ურუშაძე.

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი.